

ანოტაცია
ბიოზანი- 900 (Biozan -900)
Oxyclozanide, Oxfendazole

წამლის ფორმა

ტაბლეტი პერორალურად მისაღები, გამოიყენება ვეტერინარიაში

ფარმაცოთერაპიული ჯგუფი: ანტიჰელმინთური საშუალება

Atc vet.code: QP52AC52

სამიზნე სახეობა: მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი

შემადგენლობა

ერთი ტაბლეტი შეიცავს: ოქსიკლოზანიდს 600მგ, ოქსფენდაზოლს 300მგ.

გამოშვების ფორმა:

#300 ტაბლეტი პოლიეთილენის ფლაკონში, №15 ტაბლეტი ბლისტერზე, #6 ბლისტერი მუყაოს კოლოფში.

აღწერა: იასამნისფერი ტონალობის ტაბლეტები, შესაძლოა ჰქონდეს ყავისფერი ელფერი და აღენიშნებოდეს ჩანაწინწკლები. ტაბლეტს ერთ ზედაპირზე აქვს ჭდე, მეორე ზედაპირზე წარწერა - "BIO"

ფარმაცოლოგიური თვისებები

პრეპარატის შემადგენლობაში შემავალი ორი ფართო სპექტრის მქონე ანტიჰელმინთური ნივთიერების კომბინაცია (ოქსიკლოზანიდისა და ოქსფენდაზოლის) უზრუნველყოფს ცხოველების სრულ დეჰელმინთიზაციას.

ოქსიკლოზანიდი სალიცილამიდის ჯგუფის ფართო სპექტრის ანტიჰელმინთური საშუალებაა, იგი ეფექტურია ახალგაზრდა (უმწიფარი) და ზრდასრული ფორმის პარაზიტების მიმართ, გამოიყენება ფასციოლოზის, პარამფისტომოზის, მონიეზიოზის დაავადებების პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის. ოქსიკლოზანიდის მოქმედების მექანიზმი დაფუძნებულია პარაზიტების ჟანგვითი ფოსფორილებადი ციკლის დარღვევასა და ატფ-ის დონის შემცირებაზე, გამომდინარე აქედან ხდება ჰელმინთებში მეტაბოლური პროცესების დარღვევა, რაც იწვევს პარაზიტების სიკვდილს. პრეპარატი უზრუნველყოფს ცხოველების სრულ დეჰელმინთიზაციას. ოქსიკლოზანიდის შეწოვა ხდება ნელა, პერორალურად მიცემისას სისხლის პლაზმაში თერაპიული კონცენტრაცია მიიღწევა 24სთ-ში, ორგანიზმიდან გამოიყოფა ფეკალთან ერთად.

ოქსფენდაზოლი ბენზიმიდაზოლის ჯგუფის ფართო სპექტრის ანტიჰელმინთური საშუალებაა, მოქმედებს ნემატოდების და ცესტოდების განვითარების ყველა სტადიაზე მყოფი ჰელმინთების მიმართ. გამოიყენება ჰემონქოზის, ოსტერტაგიოზის, ტრიქოსტრონგილოზის, ნემატოდიროზის, კოოპერიოზის, ეზოფაგოსტომოზის, ბუნოსტომოზის, დიქტიოკაულოზის, მონიეზიოზის დროს. ოქსფენდაზოლის მოქმედების მექანიზმი დაფუძნებულია ფუმარარედუქტაზის ბლოკირებასა და ჰელმინთის მეტაბოლიზმის ენერგეტიკულ მოშლაზე. პრეპარატის გამოყოფა ხდება შარდან ერთად.

გამოყენების ჩვენებები

პრეპარატი გამოიყენება მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ცხვრისა და თხის სამკურნალოდ ფასციოლოზის, პარამფისტომოზის, მონიეზიოზის, დიქტიოკაულოზის, ჰემონქოზის, ოსტერტაგიოზის, ტრიქოსტრონგილოზის, ნემატოდიროზის, კოოპერიოზის, ეზოფაგოსტომოზის, ბუნოსტომოზის დროს.

გამოყენების წესი და დოზები

მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსან პირუტყვს პრეპარატი ეძლევა პერორალურად, ინდივიდუალურად. **ფარმაცოლოგიური დოზა:** ოქსიკლოზანიდი 10-15 მგ/კგ ც.წ-ზე, ოქსფენდაზოლი 5-7.5 მგ/კგ ც.წ-ზე.

პრაქტიკული დოზა: ფასციოლოზის, დიქტიოკაულოზის, ჰემონქოზის, ოსტერტაგიოზის, ტრიქოსტრონგილოზის, ნემატოდიროზის, კოოპერიოზის, ეზოფაგოსტომოზის, ბუნოსტომოზის დროს - 1 ტაბლ/60კგ ც.წ-ზე.

მონიეზიოზის, პარამფისტომოზის დროს - 1 ტაბლ/50კგ ც.წ-ზე.

უკუჩვენებები

არ არის რეკომენდებული პრეპარატის გამოყენება მაკეობის პირველ მესამედში, დასუსტებულ და დაავადებულ ცხოველებში.

გვერდითი მოვლენები

სწორი დოზირებისას გვერდითი მოვლენები არ აღინიშნება.

დაყოვნების პერიოდი

ცხოველის დაკვლა ხორცის გამოყენების მიზნით ნებადართულია პრეპარატის ბოლო მიცემიდან მსხვილფეხა პირუტყვის 28 დღის შემდეგ; ცხვრის, თხის 21 დღის შემდეგ.

რძე გამოსაყენებლად ვარგისია პრეპარატის ბოლო გამოყენებიდან 5 დღის (10 მონაწველის) შემდეგ.

შენახვის პირობები:

პრეპარატი ინახება მშრალ, სინათლისგან დაცულ ადგილას, არაუმეტეს 15-25 °C

ტემპერატურაზე, შეინახეთ ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას.

ვარგისობის ვადა: 3 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: შპს „ბიოტექსი“, საქართველო